რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლში, ... ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერმანის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ხელისმომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელი წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . | 5 მან. | ერთის თვისა . . . | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ... ასოზე ნახევარი კაპ., წვრილმანისა ასოთი სტრიქონზე 8 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადებას მიიღებს ჭილაძის წიგნის მაღაზია.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.



**არწრუნის თეატრი.**

**ოთხშაბათს, 17 ნოემბერს**

აბონემენტის რიცხვში

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

პირველად

**სურამის ციხე**

დრამა 5 მოქმ., დ. ჭონქაძის მოთხრობიდან გადმოკ. დ. ს. მესხისაგან.

დასაწყისი 8 საათზედ.


## დღიური

გუშინწინ, კვირას, არწრუნის თეატრის ზალაში მოხდა კენჭის-ყრა ქალაქის მეორე ხარისხის (რაზრიადის) ამომრჩევლებისა. მოგეხსენებათ, რომ ტფილისის საქალაქო რჩევაში სულ 72 ხმოსანია. ყველა ამომრჩევლები სამ კატეგორიად არიან გაყოფილნი და თითოეულმა კატეგორიამ ამ ხმოსნების მესამედი, ე. ი. 24 ხმოსანი უნდა ამოარჩიონ. პირველ კატეგორიის ანუ ხარისხის ამომრჩევლებმა წინა კვირას ამოარჩიეს უკვე თავის მხრივ ხმოსნები; მეორისა ამ კვირას და მესამისას მომავალ კვირას იქნება კენჭისყრა.

მეორე ხარისხის ამომრჩეველნი ამ კვირას სულ 96 კაცი გამოცხადდა. თავმჯდომარისა განკარგულებით წაკითხულ იქმნა ამორჩევების თაობაზედ კანონები და შემდეგ პირ-და-პირ კენჭის-ყრას შეუდგნენ.

ხმის უმეტესობით ამორჩეულ იქმნენ: აბგ. იონესიანი (თეთრი 66 და 30 შავი კენჭი მიიღო), ალ. სტ. მატინოვი (65—31), გ. გ. ევანგულოვი (65—31), სტებნიცკი, ზალცმანი, ა. თ. ფრიდონოვი, სტატკოვსკი, ი. ი. პოლტორაცკი, არ. ა. ხარაზოვი, ის. ი. ფითოევი, მ. თამამშოვი, როტინიანცი, სტ. იზმიროვი, ა. ი. მანთაშოვი, ნ. ა. პაპოვი და ა. ზ. ჩოლაყაშვილი.

პირველ კენჭის ჩამოტარებაზედ მხოლოდ ამათ ამოუვიდათ ხმის უმეტესობა. მეორე ჩამოტარებაზედ მარტო ორი იქმნა ამორჩეული: მ. პ. ბებუთოვი და ლ. ს. ისარლოვი. სულ 66 კენჭი იყო.

რადგან 24-მდინ კიდევ ხუთი აკლდა, ამიტომ მესამედ უყარეს წარმოდგენილ კანდიდატებს კენჭი და ამ ჯერობით მომეტებული ხმა მიიღეს: ს. გ. ზარაფოვმა, ფულინოვმა, წურინოვმა, ნ. ფრიდონოვმა და შაბუდაღოვმა. ნ. ნ. ნიკოლაძე ლომიძე და გ. ს. ბაბოვი კანდიდატებად დარჩნენ. ნ. დ. ზუბალოვმა უარი განაცხადა კენჭისყრაზედ.

კენჭის-ყრა ნაშუადღევის მეექვსე საათზე გათავდა.

* * *

პეტერბურგის გაზეთებში იწურებიან, რადგან საქონლის ჭირი დიდ ზარალს აძლევს ხალხსაო, ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრო სახელმწიფო რჩევის წინაშე შუამავლობსო, რომ პირუტყვის ექიმების რიცხვის გასამრავლებლად და აგრეთვე საზოგადოდ ამ ჭირის მოსასპობლად მოსავალ წლისათვის 81,000 კიდევ გადაიდვას ხაზინიდამაო იმ 124,000 მანეთს გარდა, რომელიც ახლა იხარჯება მუდამ წელს ამ საგანზედაო.

ჩვენში მუდამ ჩივილი ისმის, პირუტყვის ჭირია და ექიმები კი არა გვყვანანო და ამიტომ ამ ფულიდამ თუ კავკასიის ვეტერინარების რიცხვი მოუმატეს, სწორედ ძალიან კარგი იქნება.

* * *

ამ თვის დამდეგს მოსკოვის ვაჭრობას სჯა ჰქონია კავკასიის ტრანზიტის შესახებ და თითქმის ერთხმად გამოუცხადებიათ ის აზრი, რომ, რადგან კავკასიის ტრანზიტი რუსეთის ვაჭრობას დასცემსო, მხოლოდ ინგლისელების და საზოგადოდ უცხო ქვეყნელების ვაჭრობისათვის იქნება სასარგებლო და გამოსადეგიო, ამის გამო უმაღლესს მთავრობასთან ვიშუამდგომლოთო, რომ ეს ტრანზიტი მოისპოსო.

* * *

გაზ. „გოლოსის“ 304 ნომერში გაცხარებული წინა სტატია არის დაბეჭდილი იერუსალიმის პატრიარქის ამორჩევაზედ, ჩვენს ე. ი. რუსეთის კანდიდატს არხიეპისკოპოს ნიკოდიმს კენჭიც არ უყარა საბერძნეთის სამღვდელოებამ, იმდენი პატივი არ დაგვდეს, რომ ჩვენი სასიამოვნო სამღვდელო პირი დაენიშნათ პატრიარქად და თავის კაცი ფოტი პესოგლუ დანიშნესო. თითქმის მთელი იერუსალიმის ბერძნის სამღვდელოება რუსეთის საშუალებით რჩებაო, იმას აქვს რუსეთში უძრავი მამულები, ჩვენი ხაზინა ყოველ გვარ შემწეობას აძლევსო და ამის შემდეგ ასეთი შეურაცხყოფა მოგვაყენესო.

„თუ საბერძნეთის სამღვდელოებას ჩვენთან ერთობა არა სურს, ჩვენ შეგვიძლია ყოველი შემწეობა მოუსპოთ იმას რუსეთიდამაო, ამბობს გაზეთი. შეგვიძლია აღუკრძალოთ იმათ ბერებს რუსეთში ფულების მოკრეფვება და მაშინ ვნახოთ, როგორ წაიყვანენ თავის საქმესა“.

* * *

იმერეთიდან გვწერენ:

„ერთი საძაგელი თევზის დასაჭერი ჩვეულება შემოვიდაა ეხლა ჩვენში და არ მჯერა რომ კანონი არ უშლიდეს ხალხს ამისთანა საშუალების ხმარებას! ეს საშუალება არის დინამიტით თევზის ჭერა.

„ამ დინამიტებს აგდებენ დიდ მორევებში, იქ აიფეთქებს საშინლად და რაც რამ არის ამ მორევში, სულ იხო-

---

(«დროების» ფელეტონი, 16 ნოემბერ.)

## ჩინოვნიკი ელურიძე*)

(მოთხრობა)

ელურიძე ყოველთვის დარწმუნებული იყო, რომ ბატონი რუსის ანტრეპრენერი გულით მოწადინებულია ქართველების განათლებას, სურდა მათთვის სიკეთე, ამისთვის დიდს პატივსა სცემდა და ეხლა, როდესაც ლევინომ დასძალა, ის—ხალხის მხსნელად მიაჩნდა.

ანტრეპრენერმა ელურიძე კიდევ რამდენჯერმე შეახედა ქალის სურათს.

— მინდა მოვიწვიო, მაგრამ მეტად ბევრს ითხოვს! წარმოსთქვა იმან.

— მიეცით, რაცა გთხოვსთ მიეცით! უპასუხა ელურიძემ.—ზარალს არა ნახავთ.

— ეგ მეც კარგად ვიცი, რომ ზარალს არა ვნახავ, მაგრამ ფული არა მყოფნის და თავდები კი ვერ მიშოვნია რომ ვივალო... ყველანი სიტყვით მშველიან და რა საქმეზედ მივარდება განზედ გამიდგებიან.

— ნეტავი მე შემეძლოს, თქვენი შველა! გულ-წრფელად წამოიძახა ჩინოვნიკმა.

— მე, თქვენც მხოლოდ სიტყვით ამბობთ, თორემ აბა საქმე გაჩნდეს?

— საქმითაც უკან არ დავდგები.

— არ დაივიწყოთ თქვენი სიტყვა!.. მე თქვენ იმისთვის მაინც გამოგცდით, რომ დავრწმუნდე საქართველოში ერთი პირიანი კაცი არის.

— ინებეთ.

— აი, ბლანკი გაუკეთეთ ამ ვექსილს, თავდებათ დამიდექით... ამოიღო ბუმაჟნიკიდგან მზა ვექსილი.

ელურიძე შეკრთა, მაგრამ უკან ველარ დაიხია.

— ბევრისაა?

— ბევრისა—კი არა და... სულ ორი ათას-ხუთას თუმნისაა.

ელურიძე ჩაფიქრდა, ანტრეპრენერი კი ღიმილით დააცქერდა იმას.

— რას დაფიქრდით? ჰკითხა იმან,— გითხარით, რომ სიტყვით შველა უფრო ადვილია მეთქი სანამ საქმით?.. ე მანდა, თქვენც შეშინდით და ეხლავე უკან გაქცევას აპირებთ.

ელურიძე გაწითლდა, რადგანაც ანტრეპრენერი იმის თავმოყვარეობას შეეხო.

— ვინა? მე გავიქცე უკან, მე შემეშინდეს?... მოიტანეთ ეხლავე მოვაწერო, მოიტანეთ! წასწვდა ქაღალდს.

— არა, მე არ მინდა, რომ მერე სანანებლად გაგიხდესთ. გაბაზდა ანტრეპრენერი.

— არა, მომეცით მეთქი! დასწვდა კალამს და წუთზედ ვექსილის მეორე გვერდზედ გამოხაზა: კოლეჟსკი ასესორი მათე გრიგოლის-ძე ელურიძე“.

— გაუმარჯოს მეგობრობას! უკანასკნელი ასოების გასრულებასთან ერთად წამოიძახა ანტრეპრენერმა და გადაეხვია ელურიძეს.

ბევრმა ხანმა აღარ გაიარა, როდესაც, ტფილისის საზაფხულო თეატრში გამოჩნდნენ სხვა-და-სხვა გვარ—დამახინჯებული რუსეთის იტალიელები, დაბადებულნი ქალაქს „ბერდიჩევში“...

* * *

გაიარა რამდენიმე ხანმა და ტფილისის თავ-აწყვეტილი „ბარიშნები“ და კნეინები გიჟებსავით დარბოდნენ თეატრში და გაიძახოდნენ:

— ახ „დუშკა!“ რა მშვენიერია ესა და ეს მომღერალი, რა თვალები აქვს ამა-და-ამ არტისტს.

ხმაზედ და თითონ თამაშზედ, როგორც მეორე ხარისხის ღირსებაზედ, არავინა ლაპარაკობდა.

სცენის ერთს თაიგულად ითვლებოდა ის მომღერალი ქალიც, რომლის სურათსაც ელურიძე და ანტრეპრენერი, ამ რამდენიმე ხნის წინეთ შინჯავდნენ.

ელურიძე, პირველში აცუნცუკებული, ერთბაშად შეზდგა, რადგანაც დაინახა, რომ იმის საქმე არ არის აქტრისების და პრიმადონების დევნა; რომ ეს სიამოვნება ძნელი მისაღწევიც არის და ძვირათაცა ჯდება; ამის გარეთ შეამცნივა, რომ ყოველთვის სამასხარაოთა ჰყავსთ გახდილი და ის ... ბა თავი.

იმას მოაგონდა თავის თავდებობა, რომელიც ვადა უახლოვდებოდა და ანტრეპრენერი-კი, გაბმული ამ სცენის ნეტარს მოთამაშესთან, ყურსაც არ იბერტყ მდა.

თეატრში მოსამსახურეთ შორის დაიწყეს ჯერ ჩუმად ერთმანერთში საჩივარი, რომ ანტრეპრენერის საქმე ცუდათ მიდისო, ფულს არ იძლევაო, მერე უფრო გახშირდა ეს ხმა და ბოლოს მთელი თეატრის „სინკლიტი“ აყაყანდა ერთ ხმად.

*) იხ. „დროება“, № 238.

ცება. დინამიტები მოაქვსთ მედუქნეებს და დუქნებიდამ ჰყიდიან უბრალო მეთევზე ხალხზე. ამათ, რასაკვირველია, კარგად არ იციან მათი ხმარება და დიდ უბედურებას მოახდენენ როდესმე. ჟვირილის წყალში ხშირად იჭერენ ამ საშუალებით თევზებს.

„მივაქცევთ ამ საქმეზე მართებლობის ყურადღებას.

„საკვირველია თოფის წამლის და კლდების სამტვრევის წამლის მიღება ისე გაჭირვებულია ეხლანდელ დროში, რომ აღარავის მისი გამოტანა არ შეუძლია. ხალხს ისე უჭირს მაღაზიებიდამ თოფის-წამლის მიღება, რომ მანეთ ნახევარს აძლევენ გირვანქაში, საჭიროების დროს, ჰყიდულობენ კერძო პირებისაგან. იქამდინ მივიდა ეს გაჭირვება, რომ ერთ კაცს ვიღაცას ქუთაისში განუზრახავს თოფის-წამლის ზავოდის გახსნა და, ვგონებ, კიდეც აკეთებსო. და იმ დროს, როდესაც საწყალ გლეხს კლდის სამტვრევად წამალი ვერ უშოვნია, დინამიტები კი შემოაქვსთ თავისუფლად და კაცი მიმხედავი არავინ არის.“

### წერილი რედაქტორთან

ბ-ნო რედაქტორო! თქვენს პატივცემულ „დროების“ 234 ნომერში ბ-ნი სურამელი კორრესპონდენტი მწამებს, როგორც პრისტავსა, რომ ვისაც ერთხელ გადაუხდია ფული, მეორედ უგზავნი კაცს და ვახდევინებ; მაშასადამე ერთხელ გადახდევინებულ ფულს არ ვაბარებ პატრონს, მე ჩემდა სასარგებლოდ ვხმარობ და პატრონსა კი ისევ მოვალესთანვე ვგზავნი. თუ რომ ეს მართალი იყოს, ამისთანა ჩემი მოქმედება გავრცელებული იქნება, როგორათაც ბეჭდვით, აგრეთვე სასამართლოს წესით. მაგრამ არც ერთი ამისთანა შემთხვევა და საჩივარი არ შეუძლიან მიჩვენოს ბ-ნმა კორრესპონდენტმა; და ეს ცილის-წამება რომ ნამდვილი იყვეს, მეც მაშინ იმასავით ვიქნები თავით ფეხამდინ დატყუებულის ბინლით, ჩოხით, მასრებით, ქამარ-ხანჯლით და ბეჭდით შემოსილი.... ქართულად ნათქვამია: „ხმა ღვთისო და ხმა ერისაო“.

ზემო მოხსენებული კორრესპონდენცია რომ დამაჯერებელი იყოს, ამ ათის წლის ჩემ-მიერ სურამის უჩასტკაში სამსახურის განმავალობაში, გაიგებდნენ ერთხელ მაინც პატივცემული მკითხველნი თქვენის გაზეთისა.

დასამტკიცებლად თავისის კორრესპონდენციისა, ბ-ნ ავტორს უმორჩილესად ვსთხოვ, გამობრძანდეს ასპარეზზედ, და მაჩვენოს ერთი მაინც არის ის პირი, რომელსაც გარდავახდევინე; და თუ ამ ჩემის მოთხოვნილებით ბ-ნი კორრესპონდენტი არ გამოჩნდება, მე მექნება სრული უფლება, დაუძახო იმას სოფლის მეჭორე დედა-კაცის სახელი.

ა. ქარსიძე.

9-ს ნოემბერს.
დ. სურამი.

### მწიგნობრობა

#### დაბადების ბეჭდვა.

ამ დღეებში რუსულ გაზეთს „კავკაზში“ განცხადება იყო დაბეჭდილი აქაურ სინოდის კანტორისა „დაბადების“ დაბეჭდვაზე, რომლითაც მოწვეულნი არიან სტამბის პატრონები შემოვიდნენ შევაჭრებაშიო.

ეს ამბავი დიდად სასიამოვნოდ უნდა ჩავთვალოთ მით, რომ აქამომდე არსად არ იპოვება გასაყიდად „დაბადება“, და ათასში ერთ ოჯახშიაც ანუ ეკკლესიაშიაც არ არის პირველი გამოცემა ვახტანგ მეფის შვილის ბაქარისა, დაბეჭდილი 1743 წელს. სურვილი მოპოებისა კი ძლიერია. არამც თუ საერო კაცს, თვით მღვდლებშიაც თითო-ორს თუ ნახავთ, რომ ძველი აღთქმა შესწავლილი ჰქონდეს. რასაკვირველია, რომ ეს დიდი ნაკლულევანებაა და ახლა ამ ნაკლულევანების მოსპობა განუზრახავს სინოდის კანტორასა.

ამისათვის გულით და სულით ვისურვებთ ამ საქმის წარმატებას.

აქ მხოლოდ რამდენიმე შენიშვნა გვსურს წარმოვიდგინოთ, რომ ამ ძვირ-ფასს შრომას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

1) სასურველია, რომ ნაკლებ ფასად ისყიდებოდეს და ამისთვის კარგი იქნება, რომ მარტო ძველი აღთქმა დაიბეჭდოს. ახალი აღთქმა (სახარება) ეხლაც იაფად ისყიდება და ამის გამოკლებით წიგნს ფასიც დააკლდება.

2) სასურველია, რომ გარეგანის მხრით კარგი, ლაზათიანად დაბეჭდილი იყვეს. ჩვენი სტამბები მეტისმეტად ულაზათო, უშნო ბეჭვდას შეეჩვივნენ ყოველის მხრით. უსუფთაოდ ბეჭდენ, მელანს საძაგელს ხმარობენ, როცა მათ ანდობენ, ქაღალდს ყიდულობენ თხელს, რბილს და ულონოს; ბევრი ფურცელი მქრალად არის დაბეჭდილი; ასოები ხშირად გაცვეთილი ურევია, ან ბეჭვდის დროს ამოცვინდება და ნაბეჭდი ასო ნაკლები გამოდის. სასურველია, რომ შრიფტი კარგი ამორჩეულ იქნას. მაგალითად ვიტყვით, ახლა რომ გაზეთს „შრომაში“ ახალი ასოები შემოიღეს, არ ემჯობინება; ბევრს უჭირს მისი კითხვა და არც მოსწონთ; აკადემიის შრიფტისა (რომლითაც „ივერია“ იბეჭდება) ზოგიერთს სტამბაში ასო წამხდარი და არეულია, (ასო „სანი“ ბევრჯელ ემსგზავსება ასო „ხანსა“, „კარი“—„კანსა“). კარგი იქნება რიცხვი მუხლებისა და თავებისა არაბულის ციფრებით იყოს ქართულის ანბანის მაგივრად.

ხოლო რაც შეეხება ფორმატსა, რასაკვირველია, უფრო სასურველი იქნებოდა, რომ მომცრო ფორმატისა ყოფილიყო, ადვილად ხელში დასაჭერად, თუნდა ამისთვის რამდენსამე ნაწილადაც, რამდენსამე წიგნადაც გამოსულიყო. როგორც ძველი გამოცემაა, იმ სიდიდე წიგნის აღება კაცს ლოდივით უძნელდება.

3) ძალიანი ყურადღება არის მისაქცევი კორრექტურის დაჭერაზე. ამისათვის კარგი მცოდნე ორი გამსწორებელი მოუნდება. აქ თუმცა წვრილმანი სათქმელი მოგვდის, მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ, რადგანაც თითქოს უცოდნელობით ბევრს საეკკლესიო და საერო წიგნებში ვხედავთ კორრექტურულ შეცდომასა და გვსურს, რომ საზოგადოდ როგორც ამ გვარ გამოცემაში, აგრეთვე ყოველ შესანიშნავ წიგნში ავიცილოთ კორრექტურის შეცდომები. ამისთვის საჭიროა, სულ ცოტა-ცოტა ორმა კაცმა გასინჯოს. პირველ კორრექტურის გასწორებაში ერთს უნდა დედანი ეჭიროს და თვალს ადევნებდეს, მეორე კი კითხულობდეს ახალს აწყობილს და თან ასწორებდეს. ამისთანა გასწორების შემდეგ მეორე კორრექტურის დროს ორჯელ კითხვა იქნება სა-

---

საზოგადოება გაფთხა, ანტრეპრენერმა-კი ისევ სხვების ინტრიგას დააბრალა, დაიწყო ყვირილი ისევ ძველებურად, რომ ეს ბრძოლაა აზიური გაუნათლებლობისა, ევროპიულს განათლებასთან და ის-კი ამ ბრძოლის უბედური მსხვერპლი შეიქნა.

გამოჩნდნენ „განათლებული ევროპიელნი“, რომელთაც მიაისურვეს შებმა „აზიურს გაუნათლებლობასთან“ და რადგანაც ამ ბძოლისთვის საშუალება იყო საჭირო, ეს საშუალებაც ადვილად აღმოაჩინეს. საერთო სიღარიბისა და გაჭირვების დროს, სესხად მისცეს ანტრეპრენერს ექვსი ათას თუმნამდინ, თუმცა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ამ ფულს ვეღარავის გადაახდევინებდნენ, რადგანაც ამ ბატონს სულს აქეთ არა გააჩნდარა. მაგრამ განა ექვსი ათასი თუმანი იქ სახსენებელია, სადაც ევროპიული განათლების და ესტეტიურ გრძნობის გავრცელება უნდათ აზიურსა ველურსა და ბრიყვს ხალხში? რასაკვირველია, რომ არა...

ანტრეპრენერმა მიიღო ეს ფული და მლურიძე მივიდა იმასთან, თუმცა ვექსილს ჯერ ვადა არ გასვლოდა.

— ა-ა! ვახლავარ ბ. მლურიძეს!

მლურიძემ თავი დაუკრა-რა.

— საქმე ხომ არა გაქვსთ? ჰკითხა ანტრეპრენერმა.

— დიახ, ივან პლატონიჩ.

— აბა, რა საქმეა?

— მე იმ ვექსილის თაობაზედ გიახელით... დაიწყო მლურიძემ.

— რა ვექსილისა? თითქოს არ იცოდა, რა ვექსილზედ ელაპარაკებოდნენ, იკითხა ივან პლატონიჩმა და გაისწორა სათვალები.

— აი, ჩემი ვექსილის თაობაზედ.

— არ მახსოვს ღმერთმანი!.. რა ვექსილზე ლაპარაკობთ?

მლურიძეს შიშის ფერმა გადაჰკრა და დაფანტვით წამოიძახა:

— როგორ არ გახსოვსთ, რომ...

— ღმერთო ჩემო! თითქოს ყველაფერი უნდა მახსოვდეს!.. მეტადრე მაგისთანა წვრილმანი საქმე.

— იქნება თქვენთვის წვრილმანი, მაგრამ ჩემთვის-კი მთელი საცხოვრებელია. მლურიძემ პირველად გაბედ ამ გვარი პასუხი.

— რავქნა, რომელს ვექსილზედ ლაპარაკობთ?

— რომელზედაც თავდებათ დაგიდექით.

— განა ვადა გავიდა?

— არა, მაგრამ...

— თუ არა, მაშ რა გნებავსთ გააწყვეტინა ანტრეპრენერმა.

— ვადა არ გასულა, მაგრამ ამ ცოტახანში კი გავა.

— როდესაც გავა მაგაზედ მაშინ ვილაპარაკოთ. წამოავლო ანტრეპრენერმა ქუდს ხელი და შტვენით გასწია თეატრისკენ.

მლურიძე რაოდენიმე ხანს გამშრალსავით დარჩა იმ ადგილს, სადაც ანტრეპრენერმა დასტოვა დე გაბრუებულს მოაზრების ნიჭიც კი დაჰკარგოდა. იდგა ისე კარგა ხანს, ჩაფიქრებული, თუმცა თითონაც ვერ გეტყოდათ რაზედ ფიქრობდა; რამდენჯერმე გადაშალა ხელები, გადისვა შუბლზედ და ბოლოს დაფანტულის თვალებით მიხედ-მოიხედა. გადაისვა კიდევ შუბლზედ ჴელი, ამოიოხრა და წყნარად წარმოსთქვა:

— არა მაგას როგორა იქს, როგორ მოინდომებს ჩემი წვრილ შვილის გაცარცვას? დაფიქრდა კიდევ ცოტა ხანს და დაუმატა:—მგენი ხალხის გასანათლებლად მოდიან, მაგას ექვსი ათას თუმნამდინ, მარტო ბარათით, უთავდებოდ ენდობიან. ჟველა მაგის შემწეობას ცდილობს... შეჭველია, რომ ნდობის ღირსი უნდა იყოს!

ამის შემდეგ მლურიძე ცოტათი დამშვიდდა და გასწია თავის სახლისკენ.

***

გაიარა რამდენიმე ხანმა და მლურიძე დაარწმუნა ივან პლატონიჩმა, რომ თავის დროზედ შეიტანდა ფულს და ისიც სრულებით დამშვიდდა.

ერთს დილით ადრიან, მლურიძის კარების ზარი, ვიღამაც ჩამოჰკრა; სახლის პატრონი გამოვიდა, გაალო კარი და კარებში შეხვდა ვიღაცა კაკარდიანს კაცს, რომელსაც პორტფელი იღლიის ქვეშ ამოეჩარა; იმასთან იდგა ერთი დაბალი ტანის, უსიამოვნო სახის კაცი, იქამდინ გასუქებული, იქამდინ დარგვალებული, რომ გულზედ მიკრული ქონი თავისუფალს სუნთქვის ნებას აღარ აძლევდა და ქოშინით ქშენავდა. დასიებული სახე უფრო შეშუპებულს ემგზავსებოდა და იქამდინ გაბეროდა, რომ თვალსა და ცხვირს ძლივს-ღა გაარჩევდით. ძველი გაქონილი ტანისამოსი აშკარად ამტკიცებდა იმის ბინძურობას და ცხოვრების საგნათ მარტო ფულის შოვნა გახდომოდა.

მლურიძემ გაკვირვებით შეხედა, რადგანაც არ იცნობდა იმათ და უკანასკნელის უცნობის სახე-კი კაცს ნება-უნებლივ შეეზიზღებოდა.

— ბ. მლურიძე აქა დგას? იკითხა კაკარდიანმა.

— მე გახლავარ, რა გნებავსთ?

...ორი. ერთი ისე უნდა, რომ წინად შენიშნული შეცდომები და კიდევ ...ალიც გასწორდეს. მაგრამ ამ გვარს ...თხვაში კიდევ შეიძლება შეცდომა ...ოხდეს, მეტადრე თუ გამსწორებელ... ზეპირად იცის ან ზოგი ადგილი ...ახსომდა. ამიტომ კიდევ კითხვა დას...ირდება; მაგრამ ეს კითხვა უკუღმა ...ნდა: ერთს დედანი უჭირავს და ...ელს ადევნებს და მეორე კორრექ...ურის ფურცელში მოჰყვება ბოლოს ...ვერდის უკანასკნელ სიტყვიდგან და ...ითო-თითო სიტყვას კითხულობს, ...ე რომ სულ უკანასკნელის სტრი...ონიდამ ზემოდ ადის თან-და-თან ...ითო-თითო სიტყვით. მაგალითად ...ქვათ, უკანასკნელ სტრიქონში სწე...ია „ვითარცა ნაძვი ავმაღლდი ლი...ანსა ზედა"; ასე უნდა წაიკითხოს ...ორრექტურმა: „ზედა ლიბანსა ავ...ღლდი ნაძვი ვითარცა" და სხვ.

ეს იქნება მეორე კორრექტურა, ...ომელსაც „აკადემიურ კორრექტუ...ას", ეძახიან.

მესამე კორრექტურაში საჭიროა ...დარება მეორეს კორრექტურის ...ურცელთან და უდედნოდ წაკითხვა ...ა გასწორება ახალის შეცდომილები...ა. ამასთანავე საჭიროა, ეს მესამე ...ორრექტურის ფურცელი იყოს თვით ...არხში გამართულის ფორმიდგან ალე...ული და არა უბრალოდ შეკრულ ...ვერდებიდამ, ე. ი. მესამე კორრექტუ...ა უნდა დაიჭიროს კორრექტორმა ...ვით სტამბაში, გამართულს ფორმაზე...ც თავზე დგომით. ჩვენი სტამბების ...მბავი რომ ვიცით, ამისთანა კორრექ...ურის დაუჭერლად თავზე უდგომე...ლად, არევენ რასმე. კორრექტურის კითხვა ჯერით უნდა, მაგრამ ასე რომ პირველი რომ ერთმა გაასწოროს, იმისი გასწორებული მეორედ კორრექტორის დროს მეორემ გადიკითხოს და არა პირველმა. სამჯერ კორრექტურის შემდეგ ბევრჯელ მოხდება, რომ მეოთხედ და მეხუთეთაც გასწორდეს; ეს სტამბის და კორრექტორის სიფრთხილეზედ არის დამოკიდებული.

საზოგადოდ ვიტყვით, სასურველია, რომ არც ერთი შეცდომა არა ვნახოთ. ინგლისის ბიბლიის საზოგადოებას ბეჭდის დროს კანონადა აქვს ეს წესი და ყოველს მის ჩაბეჭდს ვერც ერთს შეცდომას ვერ უპოვნით. ესევე წესი უნდა მიიღოს სინოდის კანტორამაც. სტამბას და კორრექტორებს ვალად უნდა დაედვას პირობის შეკვრის დროს, რომ რომელს ფორმაშიაც შეცდომა აღმოჩნდეს, ის ფორმა დამნაშავემ ახლად დაბეჭდინოს. ჩვენის აზრით მესტამბესთან შეკრულობას გარდა, უეჭველად კორრექტორებთანაც უნდა იყოს პირობის წერილი. კორრექტურაზე ლაპარაკი გაგვიგრძელდა, მაგრამ როდესაც მოვიგონებთ, რომ „დაბადება" ამ ას ორმოცს წელიწადში ახლა მეორედ იბეჭდება, საჭიროა შესაბამის ღირსებით დაიბეჭდოს.

4). რაც შეეხება მართლ-წერას, ისევე უნდა დარჩეს, როგორც ყოფილა პირველი გამოცემა, ესე იგი ხმარება ასოებისა ჱ, ჲ, ჳ, ჴ, ჵ, ჶ. ამას გარდა, საჭიროა, რომ ქარაგმით შემოკლებული სიტყვები, სრულიად დაიბეჭდოს. ამას ერთს დაუმატებთ: კარგი იქნებოდა, ბოლოში ძნელად გასაგონის სიტყვების უბრალო ლექსიკონი ჰქონოდა, ისეთი როგორც, „ვეფხის ტყაოსანს" უკეთებენ ხოლმე. ლექსიკონი დიდი არ იქნებოდა „ვეფხის ტყაოსნისს" არცკი გადასცილდებოდა. სარგებლობა კი დიდი იქნებოდა ყველასათვის, შედგენაც ამ ლექსიკონისა არავის არ გაუჭირდებოდა, საბა ორბელიანის და ჩუბინოვის ლექსიკონებას შემწეობით.

საზოგადოდ ვისურვებთ „დაბადების" გამოცემა ყოვლის მხრით კარგი ყოფილიყოს და ფასიც ნაკლები ჰქონოდეს.

პ.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** თავდაპირველი მიზეზი მონსო-ლე-მინის არეულობისა, როგორც ერთის აჯანყებულთა ვექილის სიტყვებიდგან სჩანს, იყოო ერთი წრე, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა სამთო ქარხნებში მოსამსახურე მუშების ოჯახობას — ცოლ-შვილს მუდამ ავალებდნენ, რომ საეკკლესიო წესები ესრულებინათ. მუშებმა ველარ მოითმინეს ეს შეწუხება აჯანყდნენ და ზოგიერთ ამხანაგებს, რომელნიც პირველში ყოყმანებდნენ მათთან მიკედლებას, იმხრობდნენ მოტყუილებით, რომ ვითომ პარიჟში და ლიონში უკვე ატეხილია სოციალური რევოლიუციაო.

— საფრანგეთში ბევრნი ამტკიცებდნენ, რომ ეს არეულობა უთუოდ წარმოსდგა ჟენევის ანარხისტების ჩაგონებითაო. მაგრამ ჟენევის კანტონის რჩევამ მოახდინა გამოძიება და ვერარა აღმოაჩინა ისეთი, რომ ეს გავრცელებული ხმები გამართლებულიყო.

— პარიჟიდამ იწერებიან ერთს ინგლისურს გაზეთში, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სამსახურიდან გამოსვლა უეჭველიაო. როგორც ჰფიქრობენ, ზრევის მოადგილედ იქნებიან სამში ერთი: ან გამბეტა, ან შანზი, ადრინდელი საფრანგეთის წარმომადგენელი რუსეთში, და ან ბრისსონი პრეზიდენტი ნაციონალურ კრებისა.

—

**ეგვიპტე.** ინგლისური გაზ. „ტაიმსი" იწერება ეგვიპტის საქმეების შესახებ, რომ მომავლისათვის მუდმივი მშვიდობიანობის დასამყარებლად ეგვიპტეში საჭიროა, იქ ისეთი წესები იყოს შემოღებული, რომელნიც არც ძნელად ასასრულებელნი იქმნენ, ძვირადაც არ დასჯდნენ და ქვეყნისათვის და ქედივისათვის კი გამოსადეგნი იყვნენ, უმეტესად ქედივისათვის, რომლის სიცოცხლე მუდამ შიშშია. ქედივს ბევრი მტრები ჰყავსო, განაგრძობს გაზეთი. ინგლისის მმართებლობის მხრით დიდი შეცდომა იქნება, რომ სანამ საკმაო და საიმედო ჯარი არ გაუწყვია ეგვიპტეში, და სრული მშვიდობიანობა არ დაუმყარებია, გამოიყვანოს თავის ჯარი ამ მხრიდამ. შადგილო არ იქნებოდა, რომ რამოდენიმე წყობა ეგვიპტის ჯარისა მხოლოდ ინგლისელებისაგან შედგენილიყო, თუმცა ბეკკერ-ფაშა, რომელიც აგროვებს ამ ჟამად ეგვიპტის ჯარს, საიმედო პირიაო და ჯა-

---

— აი, თქვენთან ქალალდი გახ...ლავსთ. პაკარდიანმა გადაშალა პორტ...ფელი.

— ჩემთან? გაფითრდა ელურიძე.

— დიაღ თქვენთან, უწყებაა... გა...აწოდა ქაღალდი მოსულმა.

ელურიძეს ხელები აუთრთოლდა, ...ფერი წაუვიდა და ტუჩები გაულურჯ...და, რადგანაც იმან, ძლივს ამოიკითხა ...რომ, როგორც თავდები თუ ფულს ...არ წარადგენს სახლი გაეყიდებოდა.

— ეს...ეს ჩემი ვალი არ არის.

— თქვენ თავდები ხართ ივან პლა...ტონიჩისა და თქვენს კრედიტორს ...თქვენგანა ჰსურს გამორთმევა... მაგ...ნებას კანონი აძლევს...

— ჯერ თითონ მოვალესა სთხო...ვეთ, იქნება დააიწყდა!

— ვის მოვალეს?..თქვენს მდგმურს? ...კითხა მეორე უცნობმა და ხრინწია...ნის ხმით გაიცინა.

— დიაღ.

— ეხლა ის ვინ იცის საით მიაჭე...ნებს!

— როგორ თუ მიაჭენებს?.. რას ...ამბობთ? მომეტებულად შეშინდა ...ელურიძე.

— ისე რომ, აგერ ერთი კვირაა ...რაც იმას დაეძებენ, მაგრამ ველარ ...უპოვნიათ... არავინ იცის საით წავი...და...

— რას მეუბნებით! წამოიძახა ელურიძემ და მომაკვდავის ფერი დაედო. ის იქავ სკამზედ დაეცა და ყრუთ წარმოსთქვა: — მაშ ამისთვის ვიყავი წვასა და დაგვაში... ის წაიღო სხვადა-სხვა ფიქრებმა. — როგორ შეიძლება, რომ ასე გამცარცოს? გაიფიქრა იმან და ცოტა დამშვიდებულმა დაუმატა: — ეხლავ ხომ არ გაჰყიდიან ჩემს სახლს?.. დეე ასწეროს, სანამ ვადა მოვაღწევს, ისიც გაჩნდება, მოვა და გადაიხდის.

პრისტავმა და ვექილმა იმედი მისცეს, დაარწმუნეს ელურიძე, რომ ეს ნამდვილად ასე მოხდებოდა, რადგანაც იმათ ჩქარა უნდოდათ თავის საქმის გათავება და თავიდგან მოშორება ისეთი მძიმე საქმისა, როგორც სხვის საკუთრების აღწერაა.

ელურიძე ამ იმედს მოეჭიდა, როგორც წყალში ჩავარდნილი, ჩალას ეჭიდება და ჰგონია რომ ის დაიმაგრებს, სიკვდილს გადაარჩენს.

ელურიძე, რომელიც ამ დღიდგან დაიმედებულსავით იყო, თუმცა მოსვენებას მაინც ვერ პოულობდა, თრთოლით მოელოდა, რითი გათავდებოდა ეს სამწუხარო საქმე.

იმის გულ კეთილი, და მორჩილი ცოლი რამდენათაც ქმარს მწუხარებას ამცნევდა, იმდენათ მეტის სიყვარულით და სინაზით ექცეოდა, რათა შეემსუბუქებინა უბედურის მდგომარეობა; მაგრამ ყოველი მიკარება, ყოველი შეალერსება საყვარელს ცოლშვილს, იმის უმეტესად უდაღამდნენ გულს, უმეტესად აგრძნობინებდნენ უბედურებას.

ერთს საღამოს ელურიძე, რომელიც ამ ცოტას ხანში თითქოს უფრო დაბერებულიყო, უფრო მოხრილიყო წელში და მწუხარებას დაემჩატა იმის პირისახე, ფერ მიხდილი და ლასლასით მოდიოდა შინ. დღეს იმისთვის გაეყიდათ სახლი! ამოდენი წლის ნაწვაე ნადაგი, ერთის დაკვრით ხელიდგან ეცლებდა და სხვაზედ გადადიოდა. მეტათ ძნელი იყო იმის მდგომარეობა.

ის წყნარად ამოვიდა კიბეზედ, ჩამოჯდა დერეფანთან და დაფიქრდა. იმას თვალ წინ წარმოუდგა თავისი წარსული, მოაგონდა თავისი წვალებული დედა, რომელიც ერთხელ გაიტაცა სიყვარულის გრძნობამ და ამისთვის მთელი თავისი სიცოცხლე მდუღარებაში განვლო; მოაგონდა იმისი შემცდნი ინჟინერი, მხეცურის და პირუტყვულის სახით, ლოთი, გარყვნილი და უგულო, რომელიც ელურიძის დედას ცეცხლის ალში ატარებდა. მოაგონდა იმის ავათმყოფობა, იმის უკანასკნელი სიტყვები, ალერსი და სულის დალევასთან ერთად ღვთის სახელით სამართლის მოთხოვნა...

მერე მოაგონდა თავისი განწესება სამსახურში, შიმშილი, წყურვილი, დღე და ღამე მუშაობა და ამ ნაშრომიდგან თითო ოროლი გადარჩენილი გროში... გაურბინა თავში, იმ წუთმაც, როდესაც გულში პირველად იგრძნო სიყვარულის ნაპერწკალი, ჯვარის წერა, შვილები და ბოლოს?.. თავისავე მოუაზრებლობით ამ შვილების უნუგეშოთ, გლახაკათ დაყრა: მაშ იმათაც ის დღეები უნდა გაელოთ, რაც მამამ გაიარა? ის უნდა ეგრძნოთ რაც იმანა იგრძნო? დღე და ღამე გაუწყვეტელი მუშაობა და სასყიდლის მაგიერად შიმშილი, წყურვილი, ლანძღვა და შრტიალი. იმას გვამში თითქოს რაღაცა მოსწყდა, ადუღდა და გულს შემოუხდა, რომელ საც შეშინებულს მტრედსკით ფართხალით უნდოდა თავიდგან მოეშორებინა. კიდევ ადუღდა, კიდევ და გულმა ველარ გაზძლო! ძალმა წამოიწივა და იძახა მაშოს სახელი და გულ გახეთქილი იქავე დაეცა...

ცოლ, რომელიც გამოვარდა ამ ხმაზედ და ძროხასავით დაბღაოდა, ველარაფერი უშველა თავის მწუხარეებთ. ის რამდენიმე ხანს შემდეგ გამოიყვანეს სახლიდგან და თავის შვილებთან ერთად, უზრუნველად გაუშვეს ტფი-ლისის ქუჩებზედ.

ნეტა ბევრი იპოვებოდა, რომელსაც გროში მაინც ჩაედო უბედურის დედის გაშვერლის ხელში?...

ა. მოხხუბარიძე.

(დასასრული)

რიც საიმედო იქნება მისგან შედგენილიო.

— ლორდ დეფფერინის (ინგლისის წარმომადგენელი ოსმალეთში) აზრით, საჭიროა, რაც შეიძლება მალე გათავდეს არაბი-ფაშას საქმე, რადგან ამ საქმის გაჭიანურება ბევრ სხვა საქმეებსაც უშლის ხელს და სისრულეში ვერ მოგვიყვანიაო.—ინგლისის მმართებლობა სცდილობს, რასაკვირველია, მალე მოათავოს ეგვიპტის საქმეები, რადგან ინგლისელი ჯარები ერთობ ცუდს მდგომარეობაში არიან ეგვიპტეში.

# განცხადებანი

## ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ნოემბრის 20-ს იმის თანა-დასწრებით, იქნება ხელ-მეორე ვაჭრობა (ტორგი) იმ ვაჭრობის მაგივრად, რომელიც არ შესდგა გაგლილ 28 ოქტომბერს, საქალაქო სასახლეზედ პირუტყვის დაკვლის ხარჯის იჯარით გაცემაზედ.

ვისაც ამ იჯარის აღება ჰსურს, დაწვრილებით პირობათა შეუძლიან უპრავის კანცელარიაში დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ. (3—1)

# აუქციონი

20 და 27 ნოემბერს 1882 წ. კავკასიის ბანკის მხარეს ჰრიკაზში დანიშნულია გასყიდვა ვერცხლისა ოქროსი და ძვირფასი ნივთებისა. (3—2)

„წერა-კითხვის საზოგადოება, სთხოვს წევრთ, რომ ხვედრი საწევრო ფული გამოგზავნონ „საზოგადოების“ ახალის ხაზინადარის ბ. გიორგი დავითის-ძის ქართველოვის სახელობაზედ“ შემდეგის ადრესით: въ Тифлисъ. Казначею общества Георгію Давидовичу Картвелову. Михаиловск. улица, собст. домъ. (3—2)

ტფილისის სამოქალაქო მართებლობა, საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას 21-ს ნოემბერს, დილის 10 საათზედ, ბ. არწრუნის თეატრში, მოხდება არჩევა მესამე ხარისხის ხმოსანთა. (3—1)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**დედა და შვილი**

და

**რამდენიმე ლექსი**

თ. ილია ჭავჭავაძისა.

ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული

ფასი 15 კაპ.

ინგლისის

# მაღაზია

*Maison de confiance*

| | | | |
|---|---|---|---|
| შაქრიანი წყლის ჩაი | —1 მ. 10 კ. | მოხუცის ჩაის | —1 მ. 40 კ. |
| — — | —1—20 | — | —1—60 |
| — — | —1—40 | — | —1—80 |
| — — | —1—60 | — | —2— „ |
| — — | —1—80 | — | —2—50 |
| საუკეთესო | —2— „ | — | —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 5ს პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—9)

**ვ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში ტფილისში** (გოლოვინის პროსპექტზე ალექსანდროვის ბაღთან საკუთარს პავილიონში).

**მიიღება ხელის მოწერა**

**1883 წლისა**

ყოველ გვარ ჟურნალებზედ და გაზეთებზე ადგილობრივ, რუსულ და სამზღვარ გარეთებზედაც. (20—2)

**ისყიდებიან ცხენები**, ვარგისნი სამუშაოდ, შესაბმელად, ფურგუნისათვის და სხვ.

ადრესი: ევროპის სასტუმრო, № 22. (5—3)

**ვეძებ ღირსეულ მადნეულობის საქმეს**

უ-შუა კაცოდ. მსურველთ ადრესი შეუძლიანთ დასტოვონ საქმის დასახელებით—ფონ ვიხმანის ბიბლიოტეკაში, გოლოვინის პროს. სახლი თ. მუხრანსკისა. (3—3)

**ახალი წიგნი**

**ისყიდება შავერდოვის გაზეთის სააგენტოში, ბულვარზე**

შემოკლებული

საქართველოს

# ისტორია

შედგენილი რომან ჩანცქვისაგან. 1882 წ. ფასი თოთხმეტი შაური, გაგზავნით ოთხი აბაზი.

**ისყიდება** ძლიერ იაფ ფასად ინგლისის საუცხოვო **ჭურჭლეულობა** და ციგარები—მელმანის მაღაზიაში, ერევნის მოედანზე, სახლის № 13. (3—2)

**წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემანი:**

იგავ-არაკნი, გალექსილნი თ. რ. ერისთავისაგან, სურათებითი გამოცემა მეორე, ფასი ექვსი შაური.

წითელი ფარანი, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ზ. ანდრონიკაშვილისა, ფასი სამი შაური.

ხატაური, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ანასტასია თუმანიშვილისა, ფასი ორი შაური.

ეს წიგნები ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში და წიგნების მაღაზიებში. ვინც ნაღდს ფულზედ ერთბაშად იყიდის 15 ეგზემპლიარს რომელსამე წიგნისასა, დაეთმობა 20% ანუ მანეთზედ ერთი აბაზი და მიეცემა: იგავ-არაკი წიგნი 24 კაპ., წითელი ფარანი 12 კაპ. და ხატაური 8 კ. (10—4)

Кавказское отдѣленіе „Голоса“.

Открыта подписка на газету

# ГОЛОСЪ

На 1883 годъ

Подписная цѣна съ пересылкою на годъ—17 рублей.

Подписка и объявленія принимаются въ Центральной Книжной торговлѣ въ д. Мириманова. (3—2)

**ОТКРЫТА ПОДПИСКА**

на 1883 годъ

на большую ежедневную, политическую, общественную и литературную газету

**„РУССКІЙ КУРЬЕРЪ“.**

**ГОДЪ ЧЕТВЕРТЫЙ.**

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ достовкою въ Москвѣ:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| На 12 мѣс. | 8 р. | 50 к. | На 6 мѣс. | 4 р. | 50 к. |
| „ 11 | „ 8 | „ — „ | „ 5 | „ 3 | „ 90 „ |
| „ 10 | „ 7 | „ 50 „ | „ 4 | „ 3 | „ 25 „ |
| „ 9 | „ 6 | „ 75 „ | „ 3 | „ 2 | „ 50 „ |
| „ 8 | „ 6 | „ — „ | „ 2 | „ 1 | „ 90 „ |
| „ 7 | „ 5 | „ 25 „ | „ 1 | „ 1 | „ — „ |

Съ пересылкою въ города:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| На 12 мѣс. | 9 р. | — к. | На 6 мѣс. | 5 р. | — к. |
| „ 11 | „ 8 | „ 50 „ | „ 5 | „ 4 | „ 60 „ |
| „ 10 | „ 8 | „ — „ | „ 4 | „ 3 | „ 70 „ |
| „ 9 | „ 7 | „ 40 „ | „ 3 | „ 2 | „ 75 „ |
| „ 8 | „ 6 | „ 70 „ | „ 2 | „ 2 | „ — „ |
| „ 7 | „ 5 | „ 90 „ | „ 1 | „ 1 | „ 10 „ |

За границу: на 12 м. 17 р.,
„ 6 „ 9 р.,
„ 3 „ 5 р.,
„ 1 „ 2 р.

Подписка принимается въ конторѣ изданія: Москва, Москворѣцкій мостъ, д. Н. П. Ланина, въ отдѣленіи конторы—близъ Петровки, Столешниковъ пер., д. Карзинкина, въ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ Москвы и С.-Петербурга и Парижѣ—Rue Clément, 4, Adam.

Гг. иногородніе благоволятъ адресоваться преимущественно въ контору изданія „РУССКІЙ КУРЬЕРЪ“.

*Редакторъ-издатель*
*Н. П. Ланинъ.*
(5—1)

**ტაქსის**

**საკვებად ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დახლებზე 1 ნოემბრიდამ 15 ნოემბრამდის.**

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| მესამის „ | —1 გირ. | — |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4½ |
| ჯვარის-მამის პური: | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 8 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 8 კ. |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 10 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |

მ ა გ ი უ რ ი ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ა

მთელს რუსეთში და ევროპაში გამოჩენილის, რუსეთის და პრუსიის სასახლის მაგიკისა, პრესტიდიჟატორისა და მაგნეტიზერისა

# პროფესორის ბეკკერის მიერ



მაქვს პატივი ვაუწყო უპატივცემულესს ტფილისის საზოგადოებას, რომ მე ხოდენში მიმავალი შევჩერდი აქ და ამ ცოტა ხანში მექნება წარმოდგენები ახლად გადაკეთებულს

**გიმნასტიკის ზალაში, სასახლის გვერდით,**

რომელიც იქნება მოწყობილი თეატრსავით: ლოჟებით, 2 სართულიანის ამფითეატრით, სკამებით, კრესლებით, ბუფეტით და საზოგადოების დასაკმაყოფილებლად ფერებით,

დიდი არა ჩვეულებრივი ფანტაზიური

◆ **სპირიტიული წარმოდგენა** ◆

ახლად გამოგონილი განსაცვიფრებელი თვალთ-მაქცობა, როგორც მაგალითად: *La Calloss-Pinnte-Khromo-Krenne* ანუ სამოთხის შადრევანი ფერიათ სამეფლობელოდგან, სხვა-და-სხვა ფეროვანის ნაკადულებით, წყალ-ვარდნალით, ცოცხალის მითოლოგიურის სურათებით—აღასრულებენ ბ-ნი ბეკკერის ტრუპპის ქალები.

დაწვრილებითი პროგრამმა გამოცხადებული იქნება ცალკე აფიშებით.

სახელი და ქება პროფესორი ბეკკერისა ცნობილია მთელს რუსეთში; აგრეთვე ჩემს აქ მყოფობის დროს ამ ოთხი წლის წინად ღირსი შევიქენ დიდის თანაგრძნობისა, ჩემის წარმოდგენებისათვის, ტფილისის საზოგადოებისაგან. ესევე თანაგრძნობა დავიმსახურე სხვა ქალაქებშიაც. (48—3)